



ანალიტიკური მიმოხილვა

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებული ინსტიტუტია, რომლის მიზანი კონკრეტულ საქმეზე სოციალურად სამართლიანი და მორალურად უმწიკვლო გადაწყვეტილების მიღებაა. ის გულისხმობს პირის დამნაშავეობის საკითხის გადაწყვეტაში მართლმსაჯულების განხორციელებას არა მარტო მოსამართლის, არამედ რიგითი მოქალაქეების – ნაფიცი მსაჯულების – მონაწილეობით. მსაჯულები უსმენენ დაცვისა და ბრალდების მხარეების გამოსვლას სასამართლოს წინაშე, აკვირდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისა და შეფასების პროცესს, იღებენ გადაწყვეტილებას განსასჯელის ბრალეულობის შესახებ - დამნაშავეა, თუ არ არის დამნაშავე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც სასამართლო განხილვისას გარკვეულ ფაქტებს დადგენილად აღიარებს და ამის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა განსასჯელის ბრალეულობაზე.

ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილება განსასჯელის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის თაობაზე სააპელაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, პირველ რიგში, სამართლის ნორმათა გადმოცემის სისადავეს ითხოვს. სწორედ ამით შეუწყო მან ხელი პრეცედენტული სამართლის შემოღებას ინგლისსა და აშშ-ში. ამ ქვეყნებში – კონტინენტური ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც კონსტიტუციურადაა განმტკიცებული კანონის უზენაესობა – სასამართლო პროცესზე არა მხოლოდ იყენებენ კანონს, არამედ ახალ საკანონმდებლო აქტებსაც კი ქმნიან.

ისტორია

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს (Jury) სამშობლოდ ადრეული შუასაუკუნეების ინგლისი ითვლება. ბრიტანული წყაროები ძირითადად ემხრობა მოსაზრებას, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემოტანილ იქნა 1066 წელს ნორმანთა მიერ ინგლისის დაპყრობის შემდეგ. ნორმანები ადგილობრივ მოსახლეობას აიძულებდნენ ფიცის ქვეშ ეთქვათ სიმართლე (Jury ლათინური jurare-დან მოდის, რაც დაფიცებას ნიშნავს). მაგრამ არსებობს სხვა ვერსიაც: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – სწორედ ცხოვრების ინგლისური ყაიდის გავლენით – ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში, ინგლისის მეფის ალფრედ დიდის ზეობისას ჩამოყალიბდა.¹ პირველი დოკუმენტური დასაბუთება ნაფიცთა სასამართლოს არსებობისა ინგლისის მეფის *ჰენრიხ მეორის (1166)* ორდონანსებია. მისი ოფიციალური აღიარება კი 1215 წელს მოხდა, როცა *მეფე ჯონმა* ხელი მოაწერა „მაგნა კარტას“ (Magna Carta) რომელიც მოქალაქეებს მათი საქმეების „თანამოქალაქეთა მიერ“ განხილვის უფლებას აძლევდა.

¹ ზოგიერთი მკვლევარის აზრით ნაფიცი მსაჯულების სასამართლო საფრანგეთში **ლუდოვიკო დეთისმოსავის** (მეცხრე საუკუნის დასაწყისი) წარმოიშვა და შემდეგ გავრცელდა ინგლისში.



„მაგნა კარტა“ შეიქმნა რომის პაპს, მეფე ჯონსა და მის ინგლისელ ბარონთა შორის მეფის უფლებების შესახებ უთანხმოების გამო. ქარტიის თანახმად მეფეს გარკვეული უფლებები უნდა დაეთმო, დამორჩილებოდა სამართლებრივ პროცედურებს და ელიარებინა, რომ მეფეც შეზღუდული იყო კანონით.

თავიდან მსაჯულები დანაშაულის მოწმეები იყვნენ (ჩვეულებრივ, მეზობლები) და მათ ინფორმაციის წყაროდ იყენებდნენ. მოგვიანებით მსაჯულებს უკვე სისხლის და სამოქალაქო საქმეების გადასაწყვეტად იწვევდნენ.

მე-15 საუკუნიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი ფორმა გახდა. მსაჯულებად დაიწყეს გარეშე პირების მოწვევა, რომელთაც გადაწყვეტილება მხოლოდ სასამართლოში მიცემული ჩვენების საფუძველზე უნდა მიეღოთ.

მე-18 მე-19 საუკუნეებში ინგლისის გავლენით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ფართოდ გავრცელდა არამარტო ბრიტანული ორბიტის ქვეყნებში, არამედ კონტინენტურ ევროპაშიც: საფრანგეთში², ავსტრო-უნგრეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, რუსეთში, გერმანიაში. მოგვიანებით კი ის ამა თუ იმ ფორმით შემოღებულ იქნა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. მაგრამ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან უკუპროცესი აღინიშნა: ამ ქვეყნების დიდმა ნაწილმა უარი თქვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს *ბრიტანულ მოდელზე* და უპირატესობა ე.წ. *შერეულ მოდელს* მიანიჭა, რომელშიც საქმეს ერთად იხილავენ მსაჯულები და მოსამართლე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კლასიკურ (ბრიტანულ) მოდელში ფუნქციები მკაცრადაა დანაწილებული მოსამართლეებსა და მსაჯულებს შორის: პირის ბრალეულობის საკითხს წყვეტენ ნაფიცი მსაჯულები, ხოლო მოსამართლე პროცესუალურ საკითხებს წყვეტს და სასჯელს უფარდებს. ეს მოდელი **საერთო სამართლის (common law) სასამართლოს** სახელითაცაა ცნობილი. საერთო სამართალს უწოდებენ როგორც კანონთა ერთობლიობას, ასევე მართლმსაჯულების სისტემის სახეს, რომელიც ემყარება გარკვეული საქმის განხილვის შედეგად მსაჯულთა (სასამართლო ორგანოთა) გადაწყვეტილებას და არა კანონებს ან აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს: შესაბამისი კანონის არარსებობის ან მისი ნორმების არასაკმარისი მკაფიოობის შემთხვევაში, მსაჯულებს აქვთ უფლება (და მოვალეობაც) მიიღონ საჭირო კანონი **პრეცედენტის შექმნით**.³

რაც შეეხება **შერეულ მოდელს (mixed court)**, ამ შემთხვევაში მოსამართლე და მსაჯული ერთობლივად წყვეტენ როგორც მსჯავრის, ასევე სასჯელის საკითხს. (მაგ.: დღევანდელ საფრანგეთში სამი პროფესიონალი მოსამართლე და ცხრა მსაჯული ერთად იხილავს როგორც ფაქტის, ასევე სამართლის საკითხებს. იტალიაში – 2 პროფესიონალი მოსამართლე და 6 მსაჯული, გერმანიაში ერთი მოსამართლე და 2 მსაჯული, ან ორი მოსამართლე და ორი მსაჯული⁴).

² ნაპოლეონის წყალობით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ხალხის ძალაუფლების სიმბოლო გახდა. იმ ქვეყნებში სადაც ის საფრანგეთის გავლენით შევიდა, თავიდან მხოლოდ პიროვნების მიმართ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან პოლიტიკური (მაგ.: სამშობლოს ღალატი) საქმეებს განიხილავდა.

³ **სასამართლო პრეცედენტად** მიიჩნევა კონკრეტულ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომში, იმავე დონის ან დაბლა მდგომი სასამართლოების მიერ ანალოგიური საქმეების განხილვისას, აუცილებლად შესასრულებლად ითვლება.

⁴ გერმანიაში მოქმედ სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოდ არც მოიხსენიებენ და მსაჯულებს საერო წარმომადგენლებს (layman) ან არაპროფესიონალ მოსამართლეებს უწოდებენ.



ზოგადად, საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სისტემამ გარკვეული რეგრესი განიცადა ისეთ ქვეყნებშიც კი როგორც ირლანდია და მისი სამშობლო ინგლისია. ინგლისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციების შეკვეცის ხარჯზე უფლებამოსილება ეზრდებათ მაგისტრატთა (რომლებიც ასევე არაპროფესიონალები არიან) სასამართლოებს. საერთო სამართლის სისტემა მყარად ინარჩუნებს პოზიციებს აშშ-ში, კანადაში, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში. მეოცე საუკუნის ბოლოს ნაფიც მსაჯულთა სისტემა (საერთო სამართლის ტიპისა) აღადგინეს *ესპანეთმა და რუსეთმა*.

დღეისათვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ყველაზე გავრცელებულია აშშ-ში: იქ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მონაწილეობით ყოველწლიურად 150 000-ზე მეტი პროცესი ტარდება, რაც, დაახლოებით, მთელ მსოფლიოში ჩატარებული მსგავსი პროცესების 90%-ია.

აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ნებისმიერი საქმე შეიძლება განიხილოს, თუ ამას მოსარჩელე ან მოპასუხე მოითხოვს. უფრო მეტიც, აშშ უზენაესი სასამართლოს 1968 წლის გადაწყვეტილებით, თუ ბრალდებულს 6 თვეზე მეტი ხნით საპყრობილე ემუქრება, მისი კონსტიტუციური უფლებაა, მოითხოვოს ნებისმიერი სამოქალაქო ან სისხლის სამართლებრივი საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ანატომია აშშ-ში

აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ყოველწლიურად 150 000-ზე მეტი პროცესი (დაახლოებით 5000 ფედერალურ, დანარჩენი კი შტატების სასამართლოებში) ტარდება. აქედან 5-66% პროცესებისა სისხლის სამართლის დანაშაულზე (47%-მდე მძიმე, 19%-მდე კი ნაკლებად მძიმე დანაშაულზე);

- პროცესების დაახლოებით 31% სამოქალაქო საქმეებს ეხება, 4% - კი სხვადასხვა ტიპის სასამართლო პროცესებია;
- მართლმსაჯულების განსახორციელებლად ყოველწლიურად იწვევენ დაახლოებით 32 მილიონ ადამიანს;
- აქედან მართლმსაჯულების განსახორციელებლად სასამართლოებში ცხადდება დაახლოებით 8 მილიონი ადამიანი;
- დანარჩენები მსაჯულის მოვალეობის შესრულებისაგან თავისუფლდებიან: ავტომატურად (გარკვეული პროცესების მოქალაქეები ან მსაჯულის მოვალეობიდან ახალგათავისუფლებულები) - დაახლოებით 2 მილიონი, ფინანსური შეჭირვების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ან მსაჯულის უფლების ჩამორთმევის გამო (აშშ მოქალაქეობის არმქონენი, მძიმე დანაშაულის გამო სასჯელ მოხდილები და სხვ) - დაახლოებით 3 მილიონი.
- დაახლოებით 1.5 მილიონი აშშ მოქალაქე კი ყოველწლიურად ახორციელებს მართლმსაჯულებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებში;
- საშუალოდ ზრდასრულ ამერიკელთა 29% ერთხელ მაინც ყოფილა ნაფიცი მსაჯული;
- ნაფიც მსაჯულთა ანახლავრება 22 დოლარია დღეში (ერთ სულ მოსახლეზე საშუალო ყოველდღიური შემოსავლის დაახლოებით 25%);



- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომის საშუალო ხანგრძლივობა: 5 დღე – სისხლის სამართლის საქმეებზე, 4 დღე – სამოქალაქო საქმეებზე;
- ვერდიქტის განხილვის საშუალო ხანგრძლივობა, როგორც სისხლის სამართლებრივ, ისე სამოქალაქო საქმეებზე, 5 საათია.;
- მოსარჩელის მიერ მოგებული პროცესების წილი საშუალოდ 49%-ია;
- სისხლის სამართლებრივი საქმეების დაახლოებით 70% ვერდიქტის ნაცვლად საპროცესო გარიგებით მთავრდება.

ევროპის ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფრო იშვიათად მიმართავენ. გერმანიაში და საფრანგეთში ვერდიქტი ნაფიც მსაჯულებსა და პროფესინალ მოსამართლეებს ერთობლივად გამოაქვთ.

ბრიტანული ორბიტის ქვეყნებშიც კი, სადაც ძირითადად გავრცელებულია ანგლო-საქსონური სამართალწარმოების ფორმა და პრინციპები, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების განსახილველ საქმეთა კატეგორიები მნიშვნელოვნად შეიზღუდა. დღეისათვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები კანადასა და ბრიტანეთში სისხლის სამართლის საქმეთა მხოლოდ 2–3%-ს იხილავენ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მართალია, ეს მაჩვენებელი შედარებით მაღალია, მაგრამ წინანდელთან შედარებით – მნიშვნელოვნად შემცირებული. აღნიშნულ ქვეყნებში საქმეთა უდიდესი ნაწილი **საპროცესო გარიგებით** სრულდება: პროკურორი და დაცვის მხარე იხილავენ საქმეზე არსებულ მტკიცებულებებს ან იმ ხარვეზებს, რომლებიც დაშვებულ იქნა წინასწარი გამოძიების მსვლელობისას. განსასჯელის თანხმობის შემთხვევაში ისინი თანმხდებიან ბრალეულობის აღიარების სანაცვლოდ შედარებით ლმობიერი განაჩენის გამოტანაზე (მაგალითად: პროკურორი თანხმდება 5 წლით თავისუფლების აღკვეთაზე, როცა სასამართლოს შეუძლია ანალოგიურ დანაშაულის ჩადენისათვის 15 წლიანი ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯოს). აღნიშნული შეთანხმებით ორივე მხარე მიმართავს მოსამართლეს, რომელსაც ერთპიროვნულად გამოაქვს განაჩენი. აშშ-ში საპროცესო გარიგებით მთავრდება სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების აბსოლუტური უმრავლესობა.

როგორც აღინიშნა, საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა (მის სამშობლოში – ინგლისშიც კი). ნაფიც მსაჯულთა სასამართლო აღარაა მხოლოდ რიგითი მოქალაქეების მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში. ის საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც დღესაც მრავალი საკითხის გადაწყვეტას მოითხოვს – ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობით, მოსამართლისა და მსაჯულის დამოკიდებულებითა და ვერდიქტის ფორმით დაწყებული, წვრილმანი დეტალებით (მსაჯულთა გამოძახების ფორმა, მათი გაცნობა მხარეებისათვის) – დამთავრებული.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ზოგიერთი ეს საკითხი.

1. ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესია **ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რაობის** საკითხი, რომელიც უფრო კონცეპტუალური ხასიათისაა და მასზე პასუხი მრავალი სხვა საკითხის განსხვავებულ გადაწყვეტას განსაზღვრავს: თუ ნაფიც მსაჯულთა



სასამართლოს განვიხილავთ როგორც ბრალდებულის უფლებას სამართლიან (მისნაირი უფლებების მქონეთა მიერ განხორციელებულ) პროცესზე, მაშინ ბრალდებულს მასზე ნებისმიერ მომენტში უარის თქმისა და სხვა სასამართლოსთვის გადაცემის უფლება აქვს – როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია; ხოლო თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განვიხილავთ როგორც საზოგადოების უფლებას მართლმსაჯულებაში მონაწილეობის მიღებისა (მაგ.: იტალია ესპანეთი ავსტრალია), მაშინ ბრალდებულის არჩევანი უფრო შეზღუდულია.

2. ასევე მნიშვნელოვანია **ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის დიაპაზონი**. იმ საკითხების გადაწყვეტა, თუ რა კატეგორიის და სიმძიმის დანაშაული უნდა განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ.: აშშ, კანადა) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა კონსტიტუციით განისაზღვრება (**კონსტიტუციური ფაქტორი**). იმ ქვეყნებში კი, რომლებშიც ასეთი კონსტიტუციური ნორმა არ არსებობს (ინგლისი), სასამართლოს უფლებამოსილების შეცვლა ან გაუქმება ჩვეულებრივი კანონით შეიძლება განხორციელდეს. მნიშვნელოვანია **ეკონომიკური ფაქტორიც**, რაც, პირველ რიგში, მართლმსაჯულების აღსრულების ხარჯებს გულისხმობს. მაგალითად, ინგლისშიც კი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სულ უფრო და უფრო ხშირად მიიჩნევა ძვირ სიამოვნებად. აღსანიშნავია **ისტორიული ფაქტორიც**: მაშინ როცა, ამერიკაში სახელმწიფოს მიერ დანიშნული მოხელის (მოსამართლის) მიმართ უნდობლობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს, საფრანგეთში ნაფიც მსაჯულთა განსჯადობის არეალი მუდმივად მცირდება⁵.

გარდა ამისა, ნაფიც მსაჯულთა განსჯადობა შეიძლება განისაზღვროს **სასჯელის მოსალოდნელი ზომის მიხედვით** (აშშ, კანადა), **დანაშაულის ტიპის მიხედვით** (ესპანეთი, რუსეთი) ან ორივე ამ კრიტერიუმით.

ზემოჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, ნაფიც მსაჯულთა განსჯადობის დიაპაზონი ფართოა აშშ-ში, სადაც ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს საქმის ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილვა, თუ მას ემუქრება თავისუფლების აღკვეთა 6 თვით ან მეტი ვადით. ამგვარად, *აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა განსჯადობა ფარავს თითქმის ყველა დანაშაულს, გარდა წვრილმანი სამართალდარღვევებისა*. თუმცა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სერიოზული დანაშაულის საქმეთა განხილვამ შედარებით იკლო, რადგანაც, როგორც ითქვა, საქმეების უმრავლესობა **საპროცესო გარიგებით** მთავრდება, ხშირ შემთხვევაში კი ბრალდებული თავად არჩევს, რომ მისი საქმე მხოლოდ ერთმა მოსამართლემ განიხილოს.

კანადის კანონმდებლობა იმ შემთხვევაში იძლევა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვის საშუალებას, თუ განსასჯელს ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, რომელიც *ისჯება 5 წლით ან მეტი ვადით თავისუფლების*

⁵ საფრანგეთში კანონმდებლობაში „კორექციონალიზმის“ ტენდენცია შეინიშნება, რომლის შედეგადაც დანაშაულის უფრო და უფრო მეტი ფორმა გამოდის ნაფიც მსაჯულთა იურისდიქციიდან და აღმასრულებელი სასამართლოს (tribunal correctionnel) განსჯადობას ექვემდებარება.



აღკვეთით. დანიაში ნაფიც მსაჯულთა განსჯადობა იმ საქმეებზე ვრცელდება, რომლებიც ოთხ და მეტ-წლიან პატიმრობას ითვალისწინებს.

ირლანდიის კონსტიტუცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის სფეროდან „უმნიშვნელო დანაშაულებს“, სამხედრო და სპეციალური სასამართლოს მიერ განსახილველ დანაშაულებს⁶ გამორიცხავს.

ინგლისში და უელსში დანაშაულის სამ ძირითად ტიპს გამოყოფენ: მსუბუქი (მოძრაობის წესების ნაკლებმნიშვნელოვანი დარღვევები, მატარებლით მგზავრობის საფასურის გადაუხდელობა და ა.შ.), საშუალო სიმძიმის და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები. პირველი ტიპის საქმეებს მხოლოდ მაგისტრატების სასამართლოები განიხილავს, განსაკუთრებით მძიმეს – უზენაესი სასამართლო (Crown Court). რაც შეეხება შუალედურ ტიპს, ისინი შეიძლება განიხილოს როგორც მაგისტრატების, ასევე უზენაესმა სასამართლომ, ბრალდებულის ან თავად მაგისტრატის მოთხოვნით. თუ ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს, საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა განიხილოს⁷. საშუალო სიმძიმის დანაშაულის შემთხვევაში დაცვის ან ბრალდების მხარეს მიერ საქმის განხილვის ფორმის არჩევა გავრცელებულია საერთო სამართლის სხვა ქვეყნებშიც (მაგ.: კანადაში, ავსტრალიასა და ახალი ზელანდიაში).

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა განსაკუთრებით შეზღუდული ბელგიაშია, სადაც ის მხოლოდ ისეთ დანაშაულს განიხილავს, რომელიც 20 წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

3. მოსამართლისა და მსაჯულის ურთიერთდამოკიდებულება ფაქტიურად განსაზღვრავს თუ სად გადის ზღვარი მათ უფლებმოსილებებს შორის.

როგორც აღინიშნა, განსხვავებით შერეული სასამართლოებისაგან, საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მოსამართლისა და მსაჯულის ფუნქციები მკვეთრად გამიჯნულია. მიუხედავად ამისა, ეს დაყოფა აბსოლუტური ხასიათის არაა და მოსამართლე მეტ-ნაკლებად გავლენას ახდენს ფაქტების დადგენაზე, ხოლო მსაჯული – თავის მხრივ – მონაწილეობს გარკვეული სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტაში.

არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომლითაც მოსამართლე ფაქტების დადგენაში მონაწილეობს: პირველი – ესაა მისი ვალდებულება, დაუშვებელი მტკიცებულება არ მიუშვას მსაჯულებამდე. მტკიცებულების დაუშვებლობის წესები საერთო სამართლის ქვეყნებში მოქმედებს. მხოლოდ მოსამართლე წყვეტს, რა მტკიცებულებები, ნივთები და დოკუმენტები შეიძლება შეიტანოს ნაფიცმა მსაჯულმა სათათბირო ოთახში (ამ მტკიცებულებებმა, მოსამართლისაგან განსხვავებით, მსაჯულზე შეიძლება არაადეკვატურად იმოქმედოს). ექსპერტის ჩვენების დასამზებობაც ფაქტიურად მოსამართლის შეხედულებისამებრ წყდება.

მეორე – საერთო სამართლის სისტემაში მოსამართლეს უფლება აქვს რომელიმე მხარის მოთხოვნით (ზოგ შემთხვევაში – მოთხოვნის გარეშე) შეწყვიტოს საქმე მტკიცებულების არარსებობის გამო; მესამე და მეტად მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსამართლის მიერ მსაჯულებისათვის მიცემული ინსტრუქციების და

⁶ დანაშაულის ეს კატეგორია ძირითადად ტერორიზმსა და მასობრივ არეულობებს უკავშირდება.

⁷ დიდ ბრიტანეთში ბრალდებულთა უდიდესი ნაწილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართავს იმედით, რომ აქ გამართლების მეტია შანსი ექნება, ვიდრე ერთი მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შემთხვევაში. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეს იმედი საფუძველს მოკლებული არ არის.



მტკიცებულებების შეჯამება. თითქმის ყველგან მოსამართლე მსაჯულებს განუმარტავს გამოსაყენებელ კანონს, იურიდიულ ტერმინოლოგიას და აწვდის გადასაწყვეტი საკითხების მოცულობას⁸.

აღსანიშნავია, რომ კლასიკური საერთო სამართლის ქვეყნებში (ინგლისი, კანადა ავსტრალია) ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ მსჯავრთან დაკავშირებით რეკომენდაცია მისცენ მოსამართლეს, მაგრამ ის მხოლოდ სასჯელის შემსუბუქებას შეიძლება ეხებოდეს და მისი შესრულება სავალდებულო არ არის.

4. კიდევ ერთი საკითხი, რომლის მიხედვითაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება – **ნაფიც მსაჯულთა შერჩევის წესია**.

საერთო სამართლის ზოგიერთ ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა კორპუსის ფორმირება **წარმომადგენლობითობის პრინციპით** (საზოგადოების ყველა ფენის მონაწილეობის უზრუნველყოფა) ხორციელდება. მაგალითად, აშშ-ში თუ დამტკიცდა, რომ ნაფიც მსაჯულთა შერჩევისას ადგილი ჰქონდა გარკვეული (ეთნიკური) ჯგუფის განზრახ დისკრიმინაციას, ბრალდებულს უფლება აქვს ხელახალი გასამართლება მოითხოვოს.

წარმომადგენლობითობის პრინციპის პარალელურად დამკვიდრდა ნაფიც მსაჯულთა **ალბათური შერჩევის პრინციპიც**. 1970 წლამდე აშშ-ში ნაფიც მსაჯულებს ფედერალური სასამართლოები *დისკრეციულად*⁹ ირჩევდნენ. ამ წელს კი კონგრესმა მსაჯულთა ალბათური პრინციპით შერჩევა დააწესა.

ნაფიც მსაჯულთა კორპუსის ფორმირება, ჩვეულებრივ, რამდენიმე ეტაპად ხორციელდება. *პირველი ეტაპი* ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით პოტენციურ მსაჯულთა ზოგადი სიის დადგენას ითვალისწინებს.

დღესდღეობით აშშ-ის თითქმის ყველა შტატში და მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში კონკრეტულ საქმეებზე ნაფიცი მსაჯულები შეირჩევიან კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით, საარჩევნო ან ერთიანი სიიდან. მომდევნო ეტაპებზე ხდება არასასურველი კანდიდატების გამორიცხვა, სანამ არ დავლენ მსაჯულთა დაკანონებულ რაოდენობამდე. ამ პროცესში მონაწილეობენ როგორც მოსამართლე, ასევევე დაცვისა და ბრალდების მხარეები.

მაგალითად, **ესპანეთში**, პოტენციურ მსაჯულთა ზოგად სიას ორ წელიწადში ერთხელ ადგენენ საარჩევნო კომისიის საოლქო განყოფილებები. სიაში შესაყვან კანდიდატთა რაოდენობა გამოითვლება პროცესების სავარაუდო რიცხვის (წინა წლის პროცესების რაოდენობის გათვალისწინებით) ორმოცდაათზე გამრავლებით (*პირველი ეტაპი*). შემდეგ ყველა კანდიდატს ატყობინებენ, რომ ორი წლის განმავლობაში ის შეიძლება გამოიძახონ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესასრულებლად. კანდიდატს შეუძლია უარი თქვას მოვალეობის შესრულებაზე. *მეორე ეტაპზე*, საქმის განხილვის დაწყებამდე სულ მცირე 30 დღით ადრე წილისყრით აირჩევენ 36 პოტენციურ მსაჯულს, რომლებიც დანიშნულ დღეს უნდა გამოცხადდნენ სასამართლოში. *მესამე ეტაპზე*

⁸ თუმცა განსხვავებული ვითარებაა აშშ-ში, სადაც შტატების უმეტესობამ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში აკრძალა მტკიცებულებაზე მოსამართლის კომენტარი. ეს აკრძალვა ემყარება პრინციპს, რომლის თანახმად ფაქტების განსჯა მხოლოდ და მხოლოდ ნაფიცი მსაჯულის კომპეტენციაა.

⁹ *პირის ან სახელმწიფო ორგანოს მიერ საკითხის საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვეტა.*



სხდომის თავმჯდომარე – მოსამართლე (ან მხარე) კითხვებს უსვამს კანდიდატებს, რის შემდეგაც წყვეტს მათი მიუკერძოებლობის, კვალიფიკაციისა და საქმიანობასთან შესაბამისობის საკითხს. *მსაჯულთა შერჩევის ასეთ პროცედურას voir dire (ძვ. ფრანგული – „სამართლის თქმა“)* პეჯია. მხარეებს ამ ეტაპზეც (როცა მსაჯულთა საბოლოო შერჩევა ხდება) შეუძლიათ აცილება მისცენ კანდიდატებს¹⁰.

მსაჯულთა კორპუსის ფორმირების მსგავსი (სამეტაპიანი) პროცედურაა **საფრანგეთშიც**, იმ განსხვავებით, რომ მეორე ეტაპზე წილისყრით 45 კანდიდატი გამოვლინდება.

მსაჯულთა შერჩევის ნაკლებად გავრცელებული, მაგრამ ორიგინალური წესი ხორციელდება ე.წ. „ტრაიერების“ (trier of law) მეშვეობით. ამ მეთოდის თავისებურება ისაა, რომ ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობაზე გადაწყვეტილებას იღებს არა მოსამართლე, არამედ თვითონ პოტენციური მსაჯულები.

შერჩევა შედეგნაირად ხდება: ნაფიცი მსაჯულების კანდიდატებიდან შემთხვევითი პრინციპით შეირჩევა ორი პირი, რომლებიც ფიცის დადების შემდეგ ღებულობენ „ტრაიერის“ სტატუსს. ისინი უსმენენ მოსამართლის შეკითხვებზე პოტენციური მსაჯულის პასუხებს და მოსამართლისავე დახმარებით გამოაქვთ ვერდიქტი მის მიუკერძოებლობაზე. თუ პრეტენდენტი მიკერძოებულად ცნეს, გამოიძახებენ მომდევნოს და ეს პროცესი გრძელდება პირველი მიუკერძოებელი კანდიდატის გამოვლენამდე, რომელიც ავტომატურად მსაჯული გახდება. ის ჩანაცვლებს ერთ ტრაიერს და მეორესთან ერთად გამოავლენს კიდევ ერთ მსაჯულს. ამის შემდეგ პირველი ორი მსაჯული შეარჩევენ მესამეს, მეორე და მესამე – მეოთხეს და ასე გრძელდება ყველა მსაჯულის არჩევამდე.

ტრაიერების წესით ნაფიც მსაჯულებს **კანადაში** ირჩევენ.

კანდიდატს შეუძლია უარი თქვას ნაფიც მსაჯულობაზე, თუ მას საამისოდ საფუძვლიანი საბუთი (რელიგიური შეხედულება, პროფესიული საქმიანობის განსაკუთრებული სპეციფიკა ან სხვა მიზეზი) აქვს. მათ საქმეს, ვინც თვითაცილებას არ მიმართვას, სასამართლოს საბჭო განიხილავს.

5. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **ნაფიცი მსაჯულის მიუკერძოებლობის საკითხი**. თუ მსაჯული დაინტერესებულია საქმის განხილვის შედეგებით, ან ავლენს სხვაგვარ მიკერძოებას, სერიოზული საფრთხე დაემუქრება განსასჯელის უფლებას სამართლიან სასამართლოზე – ადამიანის ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებულ უფლებას. მიკერძოებული მსაჯული აუცილებლად უნდა ჩამოცილდეს საქმეს. ეს სხვადასხვა მექანიზმით შეიძლება განხორციელდეს: შესაძლებელია მსაჯულმა თავად

¹⁰ როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარე ცდილობს გამორიცხოს მისთვის არასასურველი კანდიდატი. მხარეები მსაჯულებს განსხვავებული თვალსაზრისით აფასებენ: მაგალითად, პოტენციურ მსაჯულს, რომელსაც არ უყვარს „ფორმიანები“, ან ზოგადად პრობლემები აქვს სამართლდამცავ ორგანოებთან, დიდი ალბათობით აცილებას მისცემს პროკურორი (ასეთი მსაჯული ნაკლებად დაიჯერებს განსასჯელის საწინააღმდეგოდ პოლიციელის მიერ მიცემულ ჩვენებას). მეორე მხრივ, პოტენციურ მსაჯულს, რომლის ქმარი პოლიციელია (და რომელიც პოლიციელის ჩვენებას უდავოდ სარწმუნოდ მიიჩნევს), სავარაუდოდ დაცვის მხარე მისცემს აცილებას.



თქვას უარი საქმეში მონაწილეობაზე; შეიძლება ის საქმეს სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამოაცილონ (მაგ. კანადაში ამას “ტრაიერები“ აკეთებენ), ან მხარეების მიერ დასაბუთებული ან დაუსაბუთებელი აცილების მოთხოვნით და რეზერვში გადაყვანით.

დასაბუთებული აცილება გულისხმობს „მხარის მიერ აცილების დაყენებას კონკრეტულ საფუძველზე“. დასაბუთებული აცილების უფლება ეფექტიანად მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მხარე ფლობს გარკვეულ ინფორმაციას, რომელიც ნაფიცი მსაჯულის მიკერძოებაზე ან სხვა შეუთავსებელ გარემოებაზე მიუთითებს.

შეუთავსებელ გარემოებები განსხვავებული ბუნებისა შეიძლება იყოს. ერთ–ერთი ძირითადია *პროფესიული ნიშნით* შეუთავსებლობა: ნაფიც მსაჯულებად ზოგადად არ დაიშვებიან *პარლამენტის წევრები, აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, ასევე მაღალი იერარქიის სასულიერო პირები (ირლანდია).* საერთო სამართლის ქვეყნებში მსაჯულებად არ დაიშვებიან აგრეთვე *პროფესიონალი იურისტები (მოსამართლეები, ადვოკატები, პროკურორები), პოლიციელები და სასჯელაღსრულების სისტემის მუშაკები.* დაუშვებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს *პიროვნული თვისებით ან დაავადებით, რაც შეუძლებელს ხდის მსაჯულის ფუნქციის განხორციელებას (მაგ.: დაქვეითებული სმენა); ასაკით – დაწესებულია ზედა და ქვედა ასაკობრივი ზღურბლი (მაგ.: მინიმალური ასაკი ინგლისში, ახალ ზელანდიასა და შოტლანდიაში 20 წელია, საფრანგეთში – 23, რუსეთში – 25. მაქსიმალური ასაკი ინგლისსა და ირლანდიაში 70 წელია, ახალ ზელანდიაში 65) ან სხვა მოთხოვნის შეუსრულებლობით¹¹.*

დისკვალიფიკაციით მსაჯულის მოვალეობიდან განთავისუფლება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას უკავშირდება. ინგლისში დისკვალიფიკაციას ექვემდებარება პირი, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში იხდიდა ნებისმიერ სასჯელს, ასევე პირი, რომელიც ხუთი წლის მანძილზე იხდიდა პირობით სასჯელს, ან იმყოფებოდა თავმდებობის ქვეშ მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე. ავსტრალიის ზოგიერთ შტატში განასხვავებენ „მადისკვალიფიცირებელ“ და „არამადისკვალიფიცირებელ“ ნასამართლობას.

განსხვავებით დასაბუთებულისაგან, **დაუსაბუთებელი აცილება** არ მოითხოვს რამე საფუძვლის მითითებას. დაუსაბუთებელი აცილების უფლებას დიდი ხნის ისტორია აქვს და დღესდღეობით ეს სისტემა მრავალ ქვეყანაში მოქმედებს¹². განსხვავებულია დაუსაბუთებელი აცილების დაყენების უფლების რაოდენობა: აშშ–ში ეს რიცხვი 5–დან 12–მდე მერყეობს, კანადაში 12–ია, ირლანდიაში –7, ესპანეთსა და რუსეთში –4.

როგორც წესი, ბრალდებისა და დაცვის მხარეებს დაუსაბუთებელი აცილების თანაბარი რაოდენობით დაყენების უფლება აქვთ, თუმცა აქაც გვხვდება გამონაკლისები (მაგ.: საფრანგეთში დაცვას ხუთი დაუსაბუთებელი აცილების უფლება აქვს, ბრალდების მხარეს – ოთხი).

¹¹ინგლისში ნაფი მსაჯულობის კანდიდატს 13 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე ცხოვრების 5 წლიანი სტაჟი მაინც უნდა ჰქონდეს.

¹² თუმცა ის უკვე გაუქმდა ინგლისში.



6. მნიშვნელოვანი საკითხია, ასევე, *ვერდიქტის სახეები და მისი მიღების პროცედურა.*

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, როგორც წესი, ორი სახის ვერდიქტი გამოაქვს: *გამამართლებელი* ან *გამამტყუნებელი*. უდანაშაულოდ ან დამნაშავედ ცნობის ვერდიქტთან ერთად საერთო სამართლის ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. კანადა) იღებენ სპეციალურ ვერდიქტს ან ვერდიქტს „შეურაცხადობა სულიერი ავადმყოფობის გამო“, რაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს დანაშაულის ჩადენისას შეურაცხად მდგომარეობაში ყოფნის გამო.

შოტლანდიაში ტრადიციულ „დამნაშავეა“ და „უდანაშაულოა“ ვერდიქტის გარდა ნაფიცმა მსაჯულებმა შეიძლება გამოიტანონ ვერდიქტი „არ მტკიცდება“. მისი შედეგი იურიდიულად ისეთივეა, როგორც „უდანაშაულოა“ ვერდიქტისა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ უდანაშაულობის ვერდიქტში მსაჯულები პოზიტიურად და ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ განსასჯელის უდანაშაულობას. „არ მტკიცდებას“ შემთხვევაში კი იგულისხმება, რომ ბრალეულობა საბოლოოდ და ჯეროვნად ვერ წარმოჩინდა¹³.

რაც შეეხება *ვერდიქტის გამოტანის პროცედურას*, ზოგიერთ ქვეყანაში ის ნაფიც მსაჯულთა ერთსულოვან გადაწყვეტილებას მოითხოვს. ვერდიქტის ერთსულოვნება აუცილებელია **კანადასა** და **ახალ ზელანდიაში**. ამასვე მოითხოვს **აშშ ფედერალური** და შტატების უმრავლესობის, ასევე **ავსტრალიის** სამი შტატისა და დედაქალაქის კანონმდებლობა.

როდესაც არსებული მტკიცებულებები აშკარას ხდის განსასჯელის დამნაშავეობას ან უდანაშაულობას, მსაჯულებს შორის შეთანხმება ადვილად მიიღწევა. მაგრამ დაცვისა და ბრალდების მხარეების მოსმენის შემდეგ შესაძლებელია მსაჯულების აზრი გაიყოს. რამდენადაც ვერდიქტის გამოტანა მხოლოდ ერთსულოვნად შეიძლება, ასეთ შემთხვევაში ნაფიც მსაჯულებს დაითხოვენ და შედგება ახალი პროცესი მსაჯულთა ახალი კორპუსით. ნაფიც მსაჯულთა კორპუსს, რომელმაც გადაწყვეტილება ვერ მიიღო „*გადაწყვეტილების მიღების უუნაროს*“ („Hung Jury“) უწოდებენ.

ჟიურის მიერ გადაწყვეტილების მიღების უუნარობის სიხშირემ და ამასთან დაკავშირებულმა გართულებებმა საერთო სამართლის მრავალი ქვეყანა აიძულა უარი ეთქვათ ერთსულოვან ვერდიქტზე.

ინგლისმა 1967 წელს თქვა უარი ერთსულოვან ვერდიქტზე და დაუშვა განაჩენის გამოტანა თანაფარდობით 11 ხმა ერთის (ან 10 ერთის, ან 9 ერთის) წინააღმდეგ – გარდა სასიკვდილო განაჩენისა, რომელიც მხოლოდ ერთსულოვნად უნდა იქნეს მიღებული. მსგავსი სახით (კვალიფიციური უმრავლესობით – წინააღმდეგი მხოლოდ ერთი ან ორი მსაჯული) ვერდიქტები გამოაქვთ **პორტუგალიაში**, **ირლანდიაში**, **ავსტრალიაში** და ამერიკის ორ (ლუიზიანისა და ორეგონის) შტატში.

საფრანგეთში 12 კაციანმა (3 მოსამართლე, 9 მსაჯული) სასამართლომ რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი მიიღოს საჭიროა 7 ხმა მაინც, გამართლებისთვის კი 8.

¹³ ასეთ „მეორეხარისხოვან გამართლებას“ თავად შოტლანდიაში ყავს მოწინააღმდეგეები, მაგრამ მომხრეების მტკიცებით ის მეტ მოქნილობას სძენს სასამართლოს და შოტლანდიური სისტემის სპეციფიკასაც უკეთ შეესაბამება.



ესპანეთში 9 კაციანი ჟიურია. გამამართლებელ ვერდიქტს მინიმუმ 5 წევრის თანხმობა სჭირდება, გამამტყუნებელს 7–ისა.

არაერთსულოვანი ვერდიქტის ყველაზე გამოხატული ფორმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს **შოტლანდიურ სისტემაშია**. 15 წევრიანი ჟიურის ვერდიქტი უბრალო უმრავლესობით (8 წევრი შვიდის წინააღმდეგ) გამოაქვს. გამატყუნებელი ვერდიქტის უბრალო უმრავლესობით გამოტანა, ცხადია, სერიოზული ეჭვს აჩენს განაჩენის სამართლიანობაზე. მაგრამ შოტლანდიაში მტკიცების ტვირთის განსაკუთრებული სიმკაცრის გათვალისწინებით ეს სისტემა მაინც სამართლიანად მიიჩნევა.

იტალიაშიც, სადაც სასამართლო 8 წევრისაგან შედგება (2 პროფესიონალი მოსამართლე, 6 მსაჯული) ვერდიქტი უბრალო უმრავლესობით გამოაქვთ.

ვერდიქტის ერთსულოვნების აუცილებლობა მუდმივი დავის საგანია. მის მომხრეთა ძირითადი არგუმენტი ისაა, რომ არაერთსულოვანი ვერდიქტი ეწინააღმდეგება განსასჯელის ბრალეულობის ეჭვის გარეშე დადგენის პრინციპს. მოწინააღმდეგენი კი ამ პრინციპის გატარებაზე უფრო მნიშვნელონად ნაფიც მსაჯულთა კორპუსში მოხვედრილი ერთი ან ორი „ექსტრემისტის“ პოზიციების განეიტრალებას თვლიან.

7. ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ნაფიც მსაჯულთა **თათბირის საიდუმლოების დაცვას** ეხება. „სათათბირო ოთახის საიდუმლოების“ დაცვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გამოაცხადოს „ნაფიც მსაჯულთა სეკვესტრი“. ეს განსაკუთრებული გადაწყვეტილებაა, რომელიც გულისხმობს მსაჯულთა სრულ იზოლაციას მთელი სასამართლო პროცესის განმავლობაში, ან მსჯავრის გამოტანის პერიოდში. ასეთ შემთხვევაში მათ შეასახლებენ სპეციალურად დაქირავებულ სასტუმრო ნომრებში. გარე სამყაროსთან მათი ნებისმიერი კონტაქტი ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს ბოქაულის მეშვეობით. ბოლო ათწლეულებში „მსაჯულთა სეკვესტრი“ იშვიათობად იქცა და მას მხოლოდ გახმაურებული პროცესების დროს მიმართავენ¹⁴.

აღსანიშნავია, რომ თავად ნაფიც მსაჯულებს დაცვის არანაირი განსაკუთრებული სისტემა არ გააჩნიათ (მაგალითად, არც იმის მსგავსი როგორც მოწმეების დაცვისათვის არის გათვალისწინებული). ზოგადად იკრძალება მხოლოდ ნაფიცი მსაჯულების ფოტოგრაფიების, მათი სახელებისა და მისამართების გამოქვეყნება.

8. მედიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს საკითხი, რომელიც ტრადიციულ სასამართლო სისტემებსაც კი სერიოზული დილემის წინაშე აყენებს – ესაა **ნაფიც მსაჯულებზე მედიის ზეგავლენა**. ტრადიციული მიდგომით ნაფიცმა მსაჯულმა სხდომის დაწყებამდე საქმის შესახებ არაფერი არ უნდა იცოდეს. მან საქმე მხოლოდ სხდომაზე მოსმენილ და დანახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა გადაწყვიტოს. მედიას შეუძლია არა მხოლოდ პოტენციური მსაჯულის განწყობა ბრალდებულის წინააღმდეგ ან მის სასარგებლოდ, არამედ ისეთი დეტალების გამჟღავნებაც, რომლებიც

¹⁴ ასეთი იყო სან–ფრანცისკოს მერის მკვლელების სასამართლო პროცესი 1979 წელს, პოლიციელების მიერ როდნი კინგის ცემის საქმე 1993 წელს და ო.ჯ. სიმპსონის გახმაურებული პროცესი (1995 წ).



შეიძლება საქმეზე დაუშვებელ ინფორმაციას წარმოადგენდეს. შესაბამისად, წარმოიშვება კონფლიქტი ადამიანის ორ ფუნდამენტურ უფლებას – სიტყვის (ინფორმაციის) თავისუფლებასა და სამართლიან სასამართლოზე ბრალდებულის უფლებას – შორის. ეს კონფლიქტი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად წყდება: აშშ-ში უპირატესობას სიტყვის თავისუფლებას ანიჭებენ და განსაკუთრებულ გარემოებების გარდა პრესას არ ზღუდავენ. დიდი ბრიტანეთი კი წინ სასამართლო პროცესს აყენებს და პრესა იზღუდება პრევენციული, ზოგჯერ რეპრესიული მეთოდებითაც კი¹⁵.

9. კიდევ ერთი საკითხი, უფრო სწორად კი პრობლემა, იმას უკავშირდება, რომ *ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილების დასაბუთება განსასჯელის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის თაობაზე თითქმის არანაირ შემოწმებას არ ექვემდებარება. საქმის ფაქტობრივ მდგომარეობასთან მიმართებით სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება დაუშვებელია.* ამდენად, მტკიცებულებების გამოძიებისას მსაჯულთა ინიციატივის შეზღუდვამ, ასევე ზემდგომი სასამართლოს მხრივ მათმა უკონტროლობამ შეიძლება სასამართლო შეცდომა გამოიწვიოს¹⁶.

გარდა ამისა, საერთო სამართლის მოდელის სასამართლოს პრაქტიკაში მრავლადაა შემთხვევები, როცა ნაფიც მსაჯულს გამატყუნებელი მტკიცებულებებისა და კანონის მოთხოვნების საპირისპიროდ, გამამართლებელი გადაწყვეტილება გამოაქვთ. ეს მოვლენა „ნაფიც მსაჯულთა ნულიფიკაციის“¹⁷ სახელითაა ცნობილი. **ბლექის** ლექსიკონში ნულიფიკაცია განიმარტება, როგორც „ნაფიც მსაჯულთა მიერ გაცნობიერებულად და წინასწარგანზრახულად მტკიცებულებების უგულვებელყოფა, ან კანონის გამოყენებაზე უარის თქმა, რითაც მსაჯულს სურთ მიანიშნონ ის, რომ მოცემულ სოციალურ საკითხს უფრო ფართო განზომილება აქვს ვიდრე კონკრეტულ საქმეს, ან ის, რომ კანონის მოთხოვნა საქმის იურიდიულ შედეგებთან დაკავშირებით ეწინააღმდეგება მათ შეხედულებებს სამართლიანობაზე ან მორალზე“.

ნულიფიკაცია საერთო სასამართლოს განუყოფელი მახასიათებელია. მიუხედავად იმისა, რომ ნულიფიკაცია უგულვებელყოფს კანონის უზენაესობას და მართლწესრიგს, ის გარდაუვალი შედეგია ნაფიც მსაჯულთა „თავისუფლებისა“, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფოს ძალმომრეობისაგან ინდივიდის დაცვის ყველაზე მყარ გარანტიად ითვლება.

ნულიფიკაციის მაგალითები მრავლადაა საერთო სამართლის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ინგლისსა და აშშ-ში.

მაგალითად, ვიეტნამის ომის დროს ნაფიცი მსაჯულები უარს ამბოდნენ სამხედროში გაწვევის თავის ამრიდებლების დასჯაზე. უფრო ადრე კი, ალკოჰოლის აკრძალვის (ე.წ. „მშრალი კანონის“) პერიოდში, ცდილობდნენ არ დაესაჯათ „ლიქიორის შესახებ“ კანონის დამრღვევები.მე-20 საუკუნის სამოციან წლებში ბელგიაში დიდი

¹⁵ „სასამართლოს უპატივცემულობის“ (Contempt of the Court Act) 1981 წლის ინგლისის კანონით, მედიას ეკრძალება საქმის განხილვაზე ზეგავლენის მომხდენი მასალების გამოქვეყნება. უფრო მეტიც, აღნიშნულის გამო მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც კი შეიძლება აღიძრას. შოტლანდიაში კანონი კიდევ უფრო მკაცრია და პრესაც სასამართლო პროცესის გაშუქებისას მეტ სიფრთხილეს იცავს.

¹⁶ თუმცა, ინგლისში პროფესიონალ მოსამართლეთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ისინი მსაჯულთა გამამართლებელ ვერდიქტების დაახლოებით 75%-ს ეთანხმებიან.

¹⁷ ნულიფიკაცია – ძალის, მნიშვნელობის დაკარგვა რამესათვის; გაუქმება რისამე.



გამოხმაურება ჰპოვა ე.წ. „ტალილომიდის საქმემ“, რომელშიც დედას ბრალად ედებოდა ახალშობილი შვილის მკვლელობა. განსასჯელი ორსულობის პერიოდში რეგულარულად იღებდა პრეპარატ ტალილომიდს, რომელიც, როგორც შემდგომში გაირკვა, ნაყოფის დაზიანებას იწვევს. ახალდაბადებულს დეფორმირებული ჰქონდა თავი და ფეხები, ხელები კი საერთოდ არ გააჩნდა. ბრალდების მხარე ამტკიცებდა, რომ განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა ეჭვგარეშე დასტურდებოდა მოყვანილი მტკიცებულებით. თვითონ განსასჯელმაც აღიარა დანაშაული და მიუთითა, რომ მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რადგან ბავშვს მთელი ცხოვრება ტანჯვაში უნდა გაეტარებინა. ნაფიცმა მსაჯულებმა განსასჯელი უდანაშაულოდ ცნეს, რამაც დამსწრე სასწრაფოების საერთო აღფრთოვანება გამოიწვია.

1993 წელს აშშ-ში ლორენა ბობიტი, რომელმაც სხეულის მძიმე დაზიანებები მიაყენა თვის ქმარს – ჯონ უეინ ბობიტს, ნაფიცმა მსაჯულებმა, მის მიერ ჩადენილის აღიარების მიუხედავად, გაამართლეს.

1993 წელს, აშშ-ში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, რომელთა უმრავლესობა თეთრკანიანი იყო, უდანაშაულოდ სცნო სამი პოლიციელი, რომლებმაც სცემეს შავკანიანი მძღოლი როდნი კინგი. ასეთ ვერდიქტს ხელი ვერ შეუშალა იმან, რომ ცემის ფაქტი გადაღებული იყო ვიდეოკამერით და ის ნივთმტკიცებად წარუდგინეს ჟიურის.

1997 წელს აშშ-ში ნაფიცმა მსაჯულებმა ქმრის მკვლელობაში ეჭვმიტანილ აირის პაინის მიმართ გამოიტანეს ვერდიქტი „უდანაშაულოა“ მიუხედავად მისი ბრალეულობის უეჭველად დამასაბუთებელი გარემოებებისა. ძირითადად ქალებისაგან შემდგარმა ჟიურიმ, ჩათვალა, რომ მისის პაინს ტირანი ქმრისაგან განთავისუფლების სხვა საშუალება არ გააჩნდა.

რუსეთში (ივანოვოს ოლქში) 2000-იანი წლების დასაწყისში, განზრახ მკვლელობაში ბრალდებული კრასნინას საქმის განხილვისას ნაფიცმა მსაჯულებმა დაასკვნეს: „არ არის დამნაშავე, თუმცა მკვლელობა მან ჩაიდინა“.

ნულიფიკაციის განსაკუთრებით გახმაურებული მაგალითი იყო პროცესი „კალიფორნიის ხალხი ო.ჯ. სიმპსონის წინააღმდეგ“ აშშ-ში. 1995 წელს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, რომლის წევრთა უმრავლესობა შავკანიანი იყო, საქმის განხილვის შედეგად ო.ჯ. სიმპსონის მიმართ გამამართლებელი ვერდიქტი გამოიტანა. მსაჯულებმა ცოლისა და მისი პარტნიორის მკვლელობაში სიმპსონის დანაშაულის ყველა მტკიცებულება არაარსებითად ცნეს. მათ ისარგებლეს ე.წ. „მტკიცებულების უბადრუკობის (არა არსებობის) დოქტრინით“, რომელიც საშუალებას აძლევს მსაჯულებს არჩევანი გააკეთონ კანონის მოთხოვნასა და სინდისის კარნახს შორის.

ეს უფლება 1990 წლების დასაწყისში დაამტკიცა აშშ-ს სააპელაციო სასამართლომ. სასამართლოს დადგენილებით, მსაჯულებს ეძლევათ პრეროგატივა „არ გაითვალისწინონ ისეთი მტკიცებულებაც კი, რომელიც ეჭვს არ იწვევს და/ან მოსამართლის ინსტრუქცია“, ამასთან ასეთი პრეროგატივის გამოყენება არ შეიძლება გახდეს საფუძველი ნაფიც მსაჯულთა სხვა შემადგენლობით საქმის გადახედვისა.

როგორც ვხედავთ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი საკმაოდ არაპროგნოზირებადია და ხანდახან კანონის უზენაესობის იდეასაც კი ეჭვქვეშ აყენებს.

შესაბამისად, არც კურიოზებია უჩვეულო ამ სასამართლო სისტემისათვის.



ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი სკანდალური ვერდიქტები ამერიკის შეერთებულ შტატებში „საუკუნის პროცესების“ სახელით მონათლეს.

ერთ–ერთი ასეთი იყო ჯონ ჰინკლის საქმე, რომელმაც 1981 წელს ვაშინგტონში, სასტუმროდან გამოსულ აშშ-ს პრეზიდენტს - რონალდ რეიგანს ესროლა. ჰინკლის მიერ ნასროლი მეექვსე ტყვია პრეზიდენტს მკერდში მოხვდა. დაჭრილ რეიგანს საკმაოდ რთული ოპერაცია ჩაუტარდა. გამოკითხული საზოგადოების 83% ჰინკლს დამნაშავედ მიიჩნევდა. თუმცა, სასამართლო პროცესის მსვლელობისას დადგინდა, რომ ამ ფაქტიდან რამდენიმე დღით ადრე მსახიობ ჯუდი ფოსტერზე შეყვარებულმა ჰინკლმა მას წერილი მისწერა. ჰინკლი სწერდა, რომ შეყვარებულის ყურადღების მისაქცევად ის თავდასხმას მოაწყობდა პრეზიდენტზე. ეს ფაქტი ჯუდი ფოსტერმა პროცესზე დაადასტურა. თათბირის შემდეგ ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ განსასჯელს გამამართლებელი ვერდიქტი გამოუტანა. საბოლოოდ, ჯონ ჰინკლის სამედიცინო ექსპერტიზამ ფსიქიური აშლილობა დაუდგინა და მას ფსიქიატრიულ კლინიკაში იძულებითი მკურნალობა შეუფარდეს.

სწორედ სკანდალით გახდა ცნობილი კანადელი მსაჯული *ჯილიან გესი*. 1995 წელს ის მონაწილეობდა კანადის ისტორიაში ერთ–ერთ ყველაზე გახმაურებულ პროცესში – საქმე ეხებოდა ქუჩის ბანდის მიერ ორი ინდიელის მკვლელობას. სასამართლო 1996 წლის აპრილში დაიწყო. მისში ჯილიანს ერთ–ერთი განსასჯელი შეუყვარდა და მისი საყვარელიც გახდა (ყველა განსასჯელი თავდებში იყო გამოშვებული). სექტემბრისათვის მან შესძლო ყველა მსაჯულის დარწმუნება განსასჯელთა უდანაშაულობაში. 1995 წლის ოქტომბერში ჟიურიმ ერთხმად გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი. 1 ნოემბერს კი პოლიციამ ანონიმური წერილი მიიღო, რომელშიც ჯილიანს ბრალს სდებდნენ წინასწარგანზრახულობაში. მისი საქმე სასამართლოს გადაეცა და ის დამნაშავედ ცნეს, თუმცა, ამას არანაირად არ უმოქმედია მკვლელებისთვის გამოტანილ განაჩენზე.

დიდი გამოხმაურება გამოიწვია არაადეკვატურმა ვერდიქტმა, რომელიც გამოტანილ იქნა ე.წ *ულმანის საქმესთან* დაკავშირებით რუსეთში. 2004 წლის 11 მაისს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაამართლა სპეცნაზელი ედუარდ ულმანი და მისი სამი ხელქვეითი, რომელთაც ბრალი ედებოდათ ჩეჩნეთში მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტაში (თუმცა მოგვიანებით პროკურატურამ გააპროტესტა ეს ვერდიქტი და განსახილველად ნაფიც მსაჯულთა სხვა კოლეგიას გადასცა განსახილველად).

„საუკუნის პროცესების“ სიაში ყველაზე სწრაფი პროცესებიც შევიდა:

აშშ–ის პრეზიდენტის უილიამ მაკკინლის მკვლელის *ლენ ჩოგლოშის სასამართლო პროცესი* 1901 წელს გაიმართა. ჩოგლოშმა ქ. ბუფალოში, პანამერიკული გამოფენის ცერემონიაზე, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ამერიკის პრეზიდენტი. ნაფიცი მსაჯულები დღენახევარი ბჭობდნენ განაჩენზე, ვერდიქტის გამოტანის შემდეგ კი გამოტყდნენ, რომ სათათბირო ოთახში გაუვლელად შეეძლოთ ჩოგლოშის დამნაშავედ ცნობა. უბრალოდ მათ საჭიროდ ჩათვალეს, რომ „ფორმალობის დაცვა ყოველთვის საჭიროა“.

ყველაზე სწრაფად კი სამოქალაქო საქმის „ოვერლენდი Exxon Corp.–ის წინააღმდეგ“ განხილვა დასრულდა, რომელშიც მოსარჩელე საწარმოს ბრალს სდებდა ტენასის შტატის ქალაქ ბეიტაუნის ქარხანაში უსაფრთხოების ზომების უგულვებელყოფაში. მსაჯულებმა ხუთი წუთისა და ორმოცდარვა წამის შემდეგ



გამოიტანეს განაჩენი მოსარჩელის სასარგებლოდ. პროცესის დასრულების შემდეგ ერთ-ერთმა მსაჯულმა აღიარა, რომ ვერდიქტის გამოტანაზე მათ მხოლოდ 48 წამი დახარჯეს, 5 წუთი კი თავჯდომარის არჩევას მოანდომეს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ღირსება და ნაკლი მისი მთელი არსებობის განმავლობაში იყო და დღემდე რჩება დავის საგნად, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა თაობის იურისტები, ფილოსოფოსები და პოლიტიკოსები.

“ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დემოკრატიის როგორც საუკუთესო, ასევე ყველაზე უარესი მონაპოვარია” – ასე იწყებს თავის ცნობილ წიგნს “ჩვენ, მსაჯულები” ჯეფრი აბრამსონი და, შესაძლოა, სწორედ ეს ფრაზა წარმოადგენდეს ყველაზე ობიექტურ შეფასებას მართლმსაჯულების ამ უძველესი ინსტიტუტისა.

საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის დავა ძირითადად სამ საკითხს ეხება: მის *სოციალურ მნიშვნელობას*, *ნაფიც მსაჯულთა კომპეტენტურობასა* და *მსაჯულთა მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვას*.

- *სოციალური მნიშვნელობა* – საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობა ზღუდავს პროფესიონალი მოსამართლეების მიერ შესაძლებლობების ბოროტად გამოყენებას, ხელს უშლის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გარეშე ზემოქმედებას. მაგრამ, ამავდროულად, თავად სასამართლო პროცესი ძალიან რთული, მოუქნელი, არცთუ იშვიათად გაჭიანურებული და, შესაბამისად, ძვირადღირებულია. რაც მთავარია, მისი განაჩენი ხშირად უგულვებელყოფს უმთავრეს პრინციპს – სასამართლოს სამართლიანობისა.

- *ნაფიც მსაჯულთა კომპეტენტურობა* – ერთი მხრივ, ნაფიც მსაჯულებს არ აწუხებთ ის სტერეოტიპები, რომლებიც პროფესიონალებს ხელს უშლის გადაწყვეტილების მიღებაში; ხშირად მსაჯულებს გარკვეული კორექტივებიც შეაქვთ მოუქნელი კანონების აღსრულებაში; სასამართლო პროცესში მათი მონაწილეობა ხელს უწყობს საზოგადოების სამართლებრივი დონის ამაღლებას. მაგრამ, მეორე მხრივ, პროფესიონალი მოსამართლეს სპეციალური ცოდნა და გამოცდილება აქვს და უფრო კარგად ესმის კანონი, ვიდრე არაპროფესიონალებს. თანამედროვე იურიდიული სირთულეები შორს სცდება მსაჯულთა უმრავლესობის კომპეტენციას, მსაჯულთა არაპროფესიონალიზმი კი მხარეებს ხშირად აიძულებს სამსახიობო ხელოვნებას მიმართონ.

- *საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვა* – მსაჯულები არ ცდილობენ კანონის ნორმების დაცვას მათი არცოდნის ან უპატივცემულობის გამო. ამის გამო მართლმსაჯულება კანონის მოქმედების პროდუქტიდან ხალხის შეხედულებების პროდუქტად გარდაიქცევა.

აღსანიშნავია, რომ შერეული მოდელის გამოყენებით ზემოთ აღნიშნული პრობლემის უმეტესობა ავტომატურად ქრება. მაგალითად, ვინაიდან ნაფიცი მსაჯულები და პროფესიონალი მოსამართლეები საქმეს ერთობლივად იხილავენ,



მედიის ზეგავლენაც და ნაფიც მსაჯულთა ნულიფიკაციაც ნაკლებად პრობლემური ხდება. არც მატერიალური სამართლის სირთულე და საქმის სპეციფიკურობა ქმნის განსაკუთრებულ პრობლემას, რამდენადაც მსაჯულს ყოველთვის შეუძლია მიმართოს მოსამართლეს მისთვის ბუნდოვან საკითხთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, შერეული ტიპის სასამართლოებში ნაფიცი მსაჯულების მიერ ბრალეულობის საკითხის პროფესიონალ მოსამართლეებთან ერთად გადაწყვეტა უზრუნველყოფს არა მარტო იურიდიულად გამართლებული გადაწყვეტილებების მიღებას, არამედ სასამართლოებზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებასაც. სასამართლოების პროფესიონალიზაცია ხელს უწყობს ასევე სამართალწარმოების პროცესის დაჩქარებას და მისი ხარჯების შემცირებას.

ნამდვილ დემოკრატიულ გარემოში – ხელისუფლების შტოების რეალურად დაყოფის, განვითარებული სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი პრესის არსებობის პირობებში – სასამართლოების პროფესიონალიზაცია ვერ გამოიწვევს იმ ნეგატიურ მოვლენებს, რომელიც ახასიათებდა ძველი ტიპის პროფესიონალურ სასამართლოებს.

ამიტომაცაა, რომ დღეს თითქმის მთელ მსოფლიოში ნაფიც მსაჯულთა ეფექტურობას სკეპტიციზმით უყურებენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, მრავალმა ქვეყანამ უარი თქვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემაზე, ზოგან კი მას მხოლოდ საკუთარი წარსულისა და სამართლებრივი ტრადიციებისადმი ერთგულების ნიშნად მხოლოდ სიმბოლურად ინარჩუნებენ.

მომზადდა
თემურ რეხვიაშვილმა
15.06.2010



ლიტერატურა

ლარს იორჰენდი, კახა წიქარიშვილი.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

თბილისი, 2007, 80 გვ. (ძირითადი წყარო)

<http://www.nolo.com/legal-encyclopedia/faqEditorial-29139.html>

<http://www.abanet.org/juryprojectstandards/principles.pdf>

http://www.denvercriminalattorney.com/denver_court_process/jury_trial.html

germaniya.net/.../sydebnaya-sistema-i-organy-kontrolya-germanii.html

<http://revolution.allbest.ru/law/d00161731.html>

<http://yurpraktika.com/article.php?id=100098330>

<http://www.lawmix.ru/zkrf/1475/46203>

<http://www.america.gov/ru/publications/ejournalusa/0709-ru.html>

http://mirslovarei.com/content_pol/SUD-PRISJAZHNYX-740.html